აიპ ქემონიქს ინტერნეიშენელ ინკ.-ის
ფილიალი ქემონიქს საქართველო

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო
წლისათვის

სარჩევი:

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 3
სრული შემოსავლის ანგარიშგება 4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 6

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია 7
2. მომზადების საფუძველი 7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები 8
4. პირობითი ვალდებულებები 8
5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 9

აიპ ქემონიქს ინტერნეიშენელ ინკ.-ის ფილიალი ქემონიქს საქართველო

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

	31 დეკემბერი 2021	**31 დეკემბერი 2020**
აქტივები		
მოკლევადიანი აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	255,479	657,149
სულ აქტივები	**255,479**	**657,149**
კაპიტალი და ვალდებულებები		
კაპიტალი		
გასახარჯი ფონდები	255,479	657,149
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	**255,479**	**657,149**

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2022 წლის 16 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი _____ ქეთევან ჭუმბურიძე

7-11 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

აიპ ქემონიქს ინტერნეიშენელ ინკ.-ის ფილიალი ქემონიქს საქართველო

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

	31 დეკემბერი 2021	**31 დეკემბერი 2020**
აქტივები		
მოკლევადიანი აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	255,479	657,149
სულ აქტივები	**255,479**	**657,149**
კაპიტალი და ვალდებულებები		
კაპიტალი		
გასახარჯი ფონდები	255,479	657,149
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	**255,479**	**657,149**

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2022 წლის 16 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი _____ ქეთევან ჭუმბურიძე

7-11 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

	2021	2020
მიღებული დაფინანსება	9,716,671	13,115,872
პროექტთან დაკავშირებული ხარჯები:		
გაცემული გრანტები	(3,251,914)	(6,062,578)
თანამშრომელთა სარგებელი და კომპენსაციები	(3,875,326)	(4,193,553)
იჯარა	(127,256)	(141,145)
პროფესიული მომსახურება	(722,892)	(951,882)
მივლინების ხარჯები	(172,847)	(234,422)
ტრეინინგის და ფესტივალის ხარჯები	(297,464)	(322,391)
საკურსო სხვაობები, წმინდა	(146,795)	(63,219)
შესყიდული ინვენტარი	(638,287)	(775,476)
სხვა ხარჯები	(451,910)	(329,126)
	31,980	**42,080**
ადმინისტრაციული და სხვა ხარჯი	(31,980)	(42,080)
წმინდა შედეგი (ფონდის ზრდა/შემცირება)	-	-

7-11 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

აიპ ქემონიქს ინტერნეიშენელ ინკ.-ის ფილიალი ქემონიქს საქართველო

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

	2021	2020
	გასახარჯი ფონდები	**გასახარჯი ფონდები**
ნაშთი 1 იანვრისთვის	**657,149**	**49,136**
გრანტი და შემოწირულობები	9,315,001	13,723,885
ხარჯების დაფინანსება	(9,716,671)	(13,115,872)
ნაშთი 31 დეკემბრისთვის	**255,479**	**657,149**

7-11 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
შემოწირულობების სახით მიღებული ფულადი სახსრები	9,315,001	13,723,885
მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(9,684,691)	(13,073,792)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	**(369,690)**	**650,093**
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	**(369,690)**	**650,093**
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	**657,149**	**49,136**
გადაფასების ეფექტი	(31,980)	(42,080)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	**255,479**	**657,149**

7-11 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. ზოგადი ინფორმაცია

ქემონიქს ინტერნეიშენელ ინკ.-ის ფილიალი ქემონიქს საქართველო (შემდგომში „ორგანიზაცია“) წარმოადგენს უცხოური საწარმოს ფილიალს და არის არაკომერციული იურიდიული პირი (ს/კ 204450085), რომელიც დაარსდა 2003 წელს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ორგანიზაციის იურიდიული მისამართია: თბილისი, დიდუბის რაიონი, დავით აღმაშენებლის გამზ. #129ა,+3 სართული, ოფისი #4.

ორგანიზაციის 100% წილის მფლობელი 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის Chemonics International Inc., 991050235-3002657 /USA/, 08.02.1999.

CHEMONICS INTERNATIONAL Inc. დაარსდა 1975 წელს ვაშინგტონში და ამ დროიდან მოყოლებული ის მუშაობს 150-ზე მეტ ქვეყანაში, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენს ხელი შეუწყოს მნიშვნელოვან ცვლილებებს მთელს მსოფლიოში, დაეხმაროს ადამიანებს იცხოვრონ უფრო ჯანსაღი, პროდუქტიული და დამოუკიდებელი ცხოვრებით.

რაც შეეხება საქართველოს, “საქართველოს რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შორის ჰუმანიტარული და ტექნიკური ეკონომიკური დახმარების ხელშეწყობისათვის თანამშრომლობის თაობაზე” 1992 წლის 31 ივლისის ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელდა არაერთი პროექტი, რომელსაც ჰქონდა განსხვავებული მიზნები და ამოცანები პროექტის სპეციფიკაციიდან გამომდინარე და ყველა მათგანი დაფინანსებული იყო აშშ განვითარების საერთაშორისო სააგენტო USAID -ის მიერ. კერძოდ:

- **The ZRDA ACTIVITY IN GEORGIA-** - პროგრამა მიზნად ისახავდა მდგრადი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას საქართველოს 6 რეგიონში (შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, მცხეთა-მთიანეთი, სამეგრელო ზემო- სვანეთი და კახეთი), მათ შორის საზღვრისპირა და ეთნიკური უმცირესობებოთ დასახლებულ თემებში, სადაც პროექტის ძირითადი მიზანი იყო სამუშაო ადგილების შექმნა, ოჯახებისათვის შემოსავლების გაზრდა და ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური გაძლიერება.
- **Pankisi Community Links** – პანკისის სათემო კავშირები, (USAID)-ის მიერ დაფინანსებული სამწლიანი პროგრამა, მიმართული იყო პანკისის მაცხოვრებლების სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაზე, გაეძლიერებინა პანკისის ხეობის თემები და მოეხდინა მათი სოციალური, კულტურული და ეკონომიკური ინტეგრაცია. ამ პროექტის ფარგლებში სათემო დიალოგების საშუალებით მოხერხდა ქალების, ახალგაზრდებისა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართვა სხვადასხვა აქტივობებში, რომელთა დახმარებითაც მოხდა ადგილობრივი თემის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია “ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის” (შემდგომში მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს ორგანიზაციის ხელმძღვანელობისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია მე-5 შენიშვნაში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ორგანიზაციის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა. ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხები არ არის დამრგვალებული, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმ დაშვებით, რომ ორგანიზაცია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. მენეჯმენტსა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განავითარონ საქმიანობა საქართველოში და სჯერათ, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია ორგანიზაციისთვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ორგანიზაცია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს ორგანიზაციის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

დაბეგვრა - ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ორგანიზაცია ახორციელებს ბევრ ოპერაციას და გაანგარიშებას, რომელთათვისაც საბოლოო დაბეგვრის საკითხები განსაზღვრული არ არის. შედეგად ორგანიზაცია საგადასახადო ვალდებულებებს აღიარებს სავარაუდო შეფასებების საფუძველზე, იმის შესახებ, ექნება თუ არა ადგილი დამატებით გადასახადების და პროცენტის დარიცხვას. სხვადასხვა ფაქტორების, მათ შორის წარსული გამოცდილების ანალიზის და საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების მიხედვით, ორგანიზაცია თვლის, რომ მის მიერ გაკეთებული საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვები ადეკვატურია ყველა არაუდიტირებული წლისთვის. ეს მოსაზრება ეყრდნობა დაშვებებსა და შეფასებებს და შეიძლება შეიცავდეს კომპლექსურ მსჯელობებს მომავალ მოვლენებზე.

სასამართლო დავები – ორგანიზაცია ანარიცხს სასამართლო დავებთან დაკავშირებით აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარსულში მომხდარი ქმედების შედეგია, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა ორგანიზაციისგან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა. იქ, სადაც რომელიმე კრიტერიუმი არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შეიძლება იქნას გაშიფრული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების დადგომას, რომლის აღიარება ან გაშიფვრა სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში ჯერ არ მომხდარა, შეიძლება ჰქონდეს არსებითი გავლენა სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაზე. აქედან გამომდინარე ორგანიზაციის ხელმძღვანელობისგან აღნიშნული ფაქტი მოითხოვს მნიშვნელოვან შეფასებებს არსებულ თუ მომავალ სასამართლო დავებთან დაკავშირებით. ორგანიზაცია განიხილავს ყოველ მიმდინარე სასამართლო დავას და აფასებს მის შედეგებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, რათა განსაზღვროს საჭიროა თუ არა შესაბამისი ანარიცხის შექმნა. შეფასების დროს გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: დავის ხასიათი, მომჩივანია თუ მოპასუხე, სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და პოტენციური ზარალის დონე, იურისტების მიმოხილვა და რჩევები, გამოცდილება მსგავსი შემთხვევებიდან და სხვა. სასამართლო დავაზე ინფორმაცია განმარტებულია მე-4 შენიშვნაში.

4. პირობითი ვალდებულებები

დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციისა და ცვლილების საგანი. ხელმძღვანელობის მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების მიერ ინტერპრეტაციებისაგან და ორგანიზაციის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ ორგანიზაციის ოპერაციები 3 წლის მანძილზე.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდო ვალდებულებაზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. ორგანიზაციის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც ორგანიზაციას თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

4. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

სასამართლო დავა

ორგანიზაცია არის სასამართლო დავის მოპასუხე მხარე, რომელიც დაიწყო 2018 წლის 17 მაისს. დავის წარმოშობის მიზეზი არის ორგანიზაციის თანამშრომლის (შემდგომში მომჩივანი) საჩივარი ორგანიზაციის მიმართ და დავის საგანს წარმოადგენს: დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა და შრომითი ხელშეკრულების გაუგრძელებლობის გადაწვეტილების ბათილად ცნობა. მომჩივანი ითხოვს კომპენსაციის სახით 137,963 აშშ დოლარის ანაზღაურებას. აღნიშნულ დავაზე ჩატარდა რამდენიმე სასამართლო დავა და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილებით მომჩივანის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. საქმე ამჟამად არის თბილისის სააპელაციო სასამართლოში განხილვის ეტაპზე. ორგანიზაციის მოლოდინით დავა დასრულდება ორგანიზაციის სასარგებლოდ, შესაბამისად ორგანიზაციამ არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში ანარიცხი ამ საკითხთან დაკავშირებით.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულადი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

დაბეგვრა

ორგანიზაციის მიმდინარე საგადასახადო დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან, გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

გამომდინარე იქიდან, რომ ორგანიზაცია წარმოადგენს არაკომერციულ ორგანიზაციას, მისი საქმიანობაც არაკომერციულ ხასიათს ატარებს. ორგანიზაციას აქვს ვალდებულება დააკავოს და სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხოს საშემოსავლო გადასახადი თანამშრომელთა ხელფასიდან.

ორგანიზაცია დღგ-ს გადამხდელი ორგანიზაციებიდან შეძენილ საქონელსა და მომსახურებაზე არ იხდის დღგ-ს თანხას, რადგან ორგანიზაცია სარგებლობს დღგ-სგან განთავისუფლების ჩათვლის უფლებით. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ორგანიზაცია არ იბეგრება მოგების გადასახადით.

ფონდები

ფონდები წარმოადგენს ორგანიზაციის ნეტო აქტივებს, რომელიც არის წევრების, შემომწირველების, სპონსორების, დონორებისა და სხვა პირების მიერ ორგანიზაციაში შეტანილი აქტივების, მათი სხვაგვარი ზრდისა და შემცირების შედეგი და გამოიყენება ორგანიზაციის ფონდის მისიის შესასრულებლად. ფონდის გამოყენება შეიძლება იყოს შეუზღუდავი, დროებით შეზღუდული ან მუდმივად შეზღუდული.

შეუზღუდავი ფონდი არის ორგანიზაციის ფონდების ნაწილი, რომელიც დონორის მიერ არ იზღუდება არც დროებით და არც მუდმივად.

დროებით შეზღუდული ფონდი წარმოადგენს ორგანიზაციის ფონდების ნაწილს, რომელიც შექმნილია:

ა) აქტივების შენატანებით და სხვა წყაროებით, რომელთა გამოყენება ორგანიზაციას განსაზღვრული აქვს დონორის მიერ დაწესებული შეზღუდვით, რომელიც იწურება დროთა განმავლობაში ან შეიძლება სხვაგვარად შესრულდეს ან გაუქმდეს ორგანიზაციის ქმედებით ამ შეთანხმების საფუძველზე;

ბ) აქტივის სხვაგვარი გაფართოებით ან შემცირებით, რომელიც ექვემდებარება ზემოაღნიშნულ შეთანხმებას; და

გ) ფონდების რეკლასიფიკაციით, რომელიც განხორციელებულია დონორთან დადებული შეთანხმებით, მისი ან ვადის გასვლის, ან შესრულების, ან ორგანიზაციის ქმედებით ამავე შეთანხმების გაუქმების საფუძველზე.

მუდმივად შეზღუდული ფონდი წარმოადგენს ორგანიზაციის ფონდების ნაწილს, რომელიც შექმნილია:

ა) აქტივების შენატანებით და სხვა წყაროებით, რომელთა გამოყენება ორგანიზაციას გასაზღვრული აქვს დონორის მიერ დაწესებული შეზღუდვით, რომელიც არ იწურება დროთა განმავლობაში, ასევე ორგანიზაციის მიერ არ შეიძლება სხვაგვარად შესრულდეს ან გაუქმდეს;

ბ) აქტივის სხვაგვარი გაფართოებით ან შემცირებით, რომელიც ექვემდებარება ზემოაღნიშნულ შეთანხმებას; და

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გ) ფონდების რეკლასიფიკაციით, რომელიც განხორციელებულია დონორთან დადებული შეთანხმებით.

საოპერაციო იჯარა

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

ხელფასები

ხელფასები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო ორგანიზაციამ დასაქმებულისგან.

ხარჯების აღიარება

ორგანიზაცია თავისი ძირითადი მიზნის განხორციელებისას ახდენს გარკვეული ხარჯების გაწევას.

ხარჯი არის ორგანიზაციის მიერ ეკონომიკური სარგებლის შემცირება საანგარიშგებო პერიოდში, აქტივების ორგანიზაციიდან გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება ორგანიზაციის ფონ-დების შემცირებით.

საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

ხარჯები ფონდის შემოსავლებისა და დანახარჯების ანგარიშგებაში აღიარდება დაუყონებლივ მათი მოხდენისთანავე და არა ფულადი სახსრების გასვლის დროს.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება ორგანიზაციის სამუშაო ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორისი სხვაობები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი
კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766

პირობითი ვალდებულება და ანარიცხი

ორგანიზაცია ანარიცხს აღიარებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

(ა) ორგანიზაციას საანგარიშგებო თარიღისთვის აქვს ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენის შედეგად;

(ბ) მოსალოდნელია (უფრო შესაძლებელია მისი მოხდენა, ვიდრე არმოხდენა), რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის გასვლა ორგანიზაციიდან; და

(გ) შესაძლებელია ვალდებულების სიდიდის საიმედოდ შეფასება.

ორგანიზაცია ანარიცხს აღიარებს, როგორც ვალდებულებას სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და ანარიცხის ტოლ თანხას აღიარებს ხარჯად, თუ მსს ფასს სხვა განყოფილება არ მოითხოვს მისი ღირებულების ასახვას ისეთი აქტივის თვითღირებულების შემადგენელი ნაწილის სახით, როგორიცაა ძირითადი საშუალებები, ან მარაგი.

პირობითი ვალდებულება არის შესაძლო, მაგრამ გაურკვეველი ვალდებულება, ან მიმდინარე ვალდებულება, რომელიც არ აღიარდა იმიტომ, რომ ვერ აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულიდან ერთ-ერთს ან ორივეს ერთად:

(ბ) მოსალოდნელია (უფრო შესაძლებელია მისი მოხდენა, ვიდრე არმოხდენა), რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის გასვლა ორგანიზაციიდან; და

(გ) შესაძლებელია ვალდებულების სიდიდის საიმედოდ შეფასება.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ორგანიზაცია პირობით ვალდებულებას არ აღიარებს ვალდებულებად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ანარიცხი დაკავშირებულია საწარმოთა გაერთიანების დროს შეძენილი ორგანიზაციის პირობით ვალდებულებასთან. მსს ფასს 21.15 პუნქტით მოითხოვება ინფორმაციის გამჟღავნება პირობითი ვალდებულების შესახებ განმარტებით შენიშვნებში, თუკი რესურსების გასვლა მოსალოდნელი არ არის შორეულ მომავალში. როდესაც ორგანიზაციას გარკვეულ ვალდებულებაზე გააჩნია სოლიდარული პასუხისმგებლობა, პირობით ვალდებულებად მიიჩნევა ვალდებულების ის ნაწილი, რომელიც მოსალოდნელია, რომ დაიფარება სხვა მხარეების მიერ.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ორგანიზაციის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.